განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის № 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად და ახალგაზრდული და საგანმანათლებლო მიმართულებით თანხების მობილიზებაში. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხების ასახვაში, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N1574 განკარგულებით, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის N75 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გამოყოფილი თანხების დაზუსტებაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით განისაზღვროს 79213.82 ათასი ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში:

შემცირდეს გრანტების მუხლი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 6,389 ათასი ლარით, გამოყოფილი თანხების დაზუსტების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულება); მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 52,40 ათასი ლარით, გამოყოფილი თანხების დაზუსტების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N1574 განკარგულება);

გაიზარდოს გრანტების მუხლი, სხვა ტრანსფერები -121.83947 ათასი ლარით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულება);

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1,1 ათასი ლარით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის დაზუსტების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N1574 განკარგულება);

შემცირდეს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის (კოდი 02 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 51,3 ათასი ლარით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის დაზუსტების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N1574 განკარგულება);

შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,565 ათასი ლარით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის დაზუსტების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულება);

შემცირდეს სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0,824 ათასი ლარით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის დაზუსტების მიზნით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულება);

გაიზარდოს საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 04 04) საქონელი და მომსახურების მუხლი 49.14085 ათასი ლარით, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების ანაზღაურებისათვის და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 72,69862 ათასი ლარით, სოფ. კონდოლის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულება);

შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 231.0 ათასი ლარით, წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

შემცირდეს სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 107.0 ათასი ლარით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გათვალისწინებით გამოთავისუფლებული თანხით;

შემცირდეს კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 02 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 55.5 ათასი ლარით, წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

გაიზარდოს სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის (კოდი 02 02 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 75,0 ათასი ლარით, სასმელი წყლის ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერგიის ხარჯის წლის ბოლომდე უზრუნველყოფისათვის;

გაიზარდოს გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (კოდი 02 03 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 75,0 ათასი ლარით, გარე განათებაზე გახარჯული ელ. ენერგიის ხარჯის წლის ბოლომდე უზრუნველყოფისათვის;

გაიზარდოს ბინათმშენებლობის ღონისძიებების (კოდი 02 05) სხვა ხარჯების მუხლი დამატებით 25,0 ათასი ლარით, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე N20-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ფასადის რეაბილიტაციისათვის;

გაიზარდოს სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 02 06 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 7,0 ათასი ლარით, ქ. თელავში, „მშვიდობის პარკის“ ტერიტორიაზე ელ. მომარაგების აღრიცხვის კვანძის მოწყობის და აბონენტად დარეგისტრირებისათვის;

გაიზარდოს დასუფთავების ღონისძიებების (კოდი 03 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 100,0 ათასი ლარით, 3 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანის შესაძენად;

გაიზარდოს გარემოს დაცვის ღონისძიებების (კოდი 03 02) საქონელი და მომსახურების მუხლი დამატებით 5.6 ათასი ლარით და ღონისძიების ფარგლებში არსებული თანხის გამოყენებით, განხორციელდეს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისათვის სამუშაოები;

გაიზარდოს საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 04 04) სხვა ხარჯების მუხლი 30,9 ათასი ლარით, 2021-2022 სასწავლო წლის თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთა წასახალისებლად ფულადი საჩუქრის გაცემის მიზნით;

გაიზარდოს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების (კოდი 05 03 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 6,6 ათასი ლარით და სხვა ხარჯების მუხლი 3,4 ათასი ლარით ახალგაზრდული პროექტების და ინიციატივების მხარდაჭერა/განხორციელების დასაფინანსებლად;

გაიზარდოს დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობის (კოდი 05 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დამატებით 65,0 ათასი ლარით, კავკასიონის ქუჩის მიმდებარედ სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობის ღონისძიების დასაფინანსებლად;

საფინანსო - საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ნ. ვაყელიშვილი